

**გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ატმოსფერული ჰაერის
სამმართველოს სერვისები**

მომსახურების დასახელება	მომსახურების აღწერა	მიწოდებისთვის გამოყოფილი ვადა (დღეები)	მომსახურების ტარიფი
<p>„ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევების ნორმების პროექტი“-ს განხილვა</p>	<p>„გარემოზე ზემოქმედების ნებართვების შესახებ“ და „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონების შესაბამისად ეკოლოგიურ ექსპერტიზას დაქვემდებარებულ ყველა საქმიანობისთვის, რომელთაც გააჩნიათ ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროები, სავალდებულოა „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევების ნორმების პროექტი“-ს შემუშავება. პროექტის განხილვას და შეთანხმებას ახორციელებს ატმოსფერული ჰაერის დაცვის სამსახური.</p>	<p align="center">30 დღე</p>	<p align="center">---</p>
<p>„ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში“-ს განხილვა</p>	<p>საქმიანობისთვის, რომელიც ეკოლოგიურ ექსპერტიზას არ საჭიროებს, სავალდებულოა „ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიშის“-ს შემუშავება. ანგარიშის განხილვას და შეთანხმებას ახორციელებს ატმოსფერული ჰაერის დაცვის სამსახური.</p>	<p align="center">30 დღე</p>	<p align="center">---</p>
<p>ოზონის შრის დამშლელი ნივთიერებების ტრანსპორტირების, იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის ან ტრანზიტის ნებართვის გაცემა.</p>	<p>„შეზღუდულად ბრუნვადი მასალების წარმოების, ტრანსპორტირების, იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის ან ტრანზიტის ნებართვის გაცემის წესის შესახებ დებულებისა და შეზღუდულად ბრუნვადი მასალების სიის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 სექტემბრის №184 დადგენილების საფუძველზე ოზონის შრის დამშლელი ნივთიერებების ტრანსპორტირება, იმპორტი, ექსპორტი, რეექსპორტი ან ტრანზიტი ექვემდებარება შესაბამის ნებართვას. ნებართვას გასცემს ატმოსფერული ჰაერის დაცვის სამსახური.</p>	<p align="center">45 დღე</p>	<p align="center">200 ლარი</p>

<p>მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების სახელმწიფო აღრიცხვის ფორმის შეთანხმება ელექტრონულად</p> <p>Emoe.gov.ge</p>	<p>ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის თანახმად ყველა საქმიანობის სუბიექტი, რომელიც ფლობს სტაციონარული გაფრქვევის წყაროს, ვალდებულია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ყოველწლიურად, 15 თებერვლამდე, წარუდგინოს დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების სახელმწიფო აღრიცხვის ფორმა. წარმოდგენილი ფორმების საფუძველზე ხორციელდება მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების სახელმწიფო აღრიცხვა. 2016 წლიდან დაინერგა ანგარიშგების ელექტრონული სისტემა, რომლის მიზანია გაუმარტივოს მეწარმეებს ანგარიშგების პროცესი და გააუმჯობესოს სახელმწიფო აღრიცხვის ხარისხი: emoe.gov.ge</p>	<p>1 იანვრიდან 15 თებერვლამდე</p>	<p>---</p>
--	---	-----------------------------------	------------